

German Development Cooperation

GIZ Office South Caucasus
Rustaveli Ave. 42 / Griboedov Str. 31a
0108 Tbilisi, Georgia
T +995 32 2201800
F +995 32 2201801

Your reference
Our reference

8th May, 2018

კონკურსის გამოცხადება

პროექტის დასახელება: „საჯარო ფინანსების მართვა სამხრეთ კავკასიაში“
პროექტის ნომერი: 17.2023.4-001.00

ძვირფასო ქალბატონებო და ბატონებო,

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის დავალებით შპს. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) საქმიანობას ეწევა გერმანია-საქართველოს განვითარების თანამშრომლობის სფეროში.

Deutsche Gesellschaft für
Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH

Registered offices
Bonn and Eschborn, Germany

Friedrich-Ebert-Allee 36 + 40
53113 Bonn, Germany
T +49 228 44 60-0
F +49 228 44 60-17 66

Dag-Hammarskjöld-Weg 1 - 5
65760 Eschborn, Germany
T +49 61 96 79-0
F +49 61 96 79-11 15

E info@giz.de
I www.giz.de

Registered at
Local court (Amtsgericht)
Bonn, Germany
Registration no. HRB 18384
Local court (Amtsgericht)
Frankfurt am Main, Germany
Registration no. HRB 12394

Chairman of the Supervisory Board
Martin Jäger, State Secretary

Management Board
Tanja Gönner (Chair)
Dr Christoph Beier (Vice-Chair)
Dr Hans-Joachim Preuß

დაგეგმილი გვაქვს შევისყიდოთ შემდეგი სამუშაო/მომსახურება **დანართი 1 - ის შესაბამისად.**

დაინტერესების შემთხვევაში, გთხოვთ, **22.05.2018-ის 17:00 საათამდე** წარმოგვიდგინოთ თქვენი შემოთავაზება **ამობეჭდილი** სახით, 2 სხვადასხვა კონვერტში. 1 კონვერტში საფასო შემოთავაზება, ხოლო 2-ში შინაარსობრივი შემოთავაზება.

გთხოვთ, შემოთავაზებები მოგვაწოდოთ ქართულ და/ან ინგლისურ ენაზე.

დაგვიანებული შემოთავაზებები არ განიხილება.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ 2013 წლის მაისიდან სსკ-ს 168-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება სარგებლობს გადასახადებისგან გათავისუფლებით (დღგ, აქციზი, იმპორტის გადასახადი) და შესაბამისად **ეროვნულ** ვალუტაში წარმოდგენილი ფასი

არ უნდა შეიცავდეს მოცემულ გადასახადებს.

გთხოვთ, კონვერტზე მიუთითოთ შემდეგი:

- სახელი, გვარი, ფირმის დასახელება;
- საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, საკონტაქტო პირი);

ტენდერის დასახელება: **ტრენერების ტრენინგი პროგრამული ბიუჯეტების ექსპერტებისთვის ქართულ საჯარო სექტორში**

წარწერა “კონფიდენციალურია”

- გთხოვთ, მოაწეროთ ხელი დალუქვის ადგილზე.

გთხოვთ, შემოთავაზება დაიტანოთ თქვენი ორგანიზაციის ლოგოიან თავფურცელზე, დასვათ ბეჭედი და ხელმოწერა.

აგრეთვე მიუთითოთ შემდეგი მისამართი:

GIZ-ის რეგიონალურ ბიუროს სამხრეთ კავკასიაში

რუსთაველის 42 / გრიბოედოვის 31ა

0108 თბილისი

მიუთითეთ პროგრამის ნომერი **17.2023.4-001.00** და

აგრეთვე ტენდერის ნომერი: **83288286**

დანომრეთ კონვერტები: (I - საფასო შემოთავაზება; II - შინაარსობრივი შემოთავაზება).

შეკითხვების შემთხვევაში, შემოთავაზებების ჩაბარებამდე არაუგვიანეს **2 დღისა**, გთხოვთ, დაუკავშირდეთ ქალბატონ ანა ჩხეიძეს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით (anna.chkheidze@giz.de).

წესების დარღვევის შემთხვევაში შეიძლება თქვენი შემოთავაზება არ იქნას განხილული.

შემოთავაზებების შეფასება სავარაუდოდ დამთავრდება 25.05.2018-თვის.

დაკავშირება მოხდება მხოლოდ ტენდერში გამარჯვებულ ორგანიზაციასთან

პატივისცემით,

ანა ჩხეიძე

ხელშეკრულებების განყოფილება

დანართები

1. შემოთავაზებების შეფასების ზოგადი სქემა
2. შინაარსობრივი შეფასების სქემა
3. სამუშაოს აღწერა

დანართი 1

შემოთავაზებების შეფასების ზოგადი სქემა

შემოსული შემოთავაზებების შეფასება მოხდება როგორც ფასების, ასევე შინაარსის მიხედვით.

შინაარსობრივი შეთავაზება უნდა შეიცავდეს შემდეგს:

ინფორმაცია შესაბამისი გამოცდილებისა და მომსახურების შესახებ:

- მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილება ტრენინგების ორგანიზებასა და კონსალტინგის სფეროში, მათ შორის საჯარო სექტორის წარმომადგენლებისთვის გაწეული სერვისები;
- მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება ტრენერთა ტრენინგის (ToT) შემუშავებისა და მიწოდების სფეროში;
- დავალების შესრულებაზე პასუხისმგებელი გუნდის შესაბამისი გამოცდილება - შემოთავაზებული სპეციალისტების/შემსრულებლების CV- ები, რომლებიც ხაზს უსვამენ დავალების შესაბამის უნარებს და გამოცდილებას.

გთხოვთ, შემოთავაზების შინაარსობრივ ნაწილს ასევე დაურთოთ შემდეგი ინფორმაცია :

- კონკრეტული სამუშაოს შესრულების **კონცეფცია და გეგმა** (ხედვა, თუ როგორ ფიქრობთ მოცემული დავალების შესრულებას);
- ამ დავალებისთვის გამოყოფილი **პერსონალის** კვალიფიკაცია/გამოცდილება (CV).

არასაფასო კრიტერიუმები თავის მხრივ დაიყოფა შემდეგი წილობრივი მონაცემების მიხედვით: **(იხ. თანდართული შინაარსობრივი შეფასების სქემა)**

შინაარსობრივი შეფასების შემდეგ გაიხსნება და განიხილება მისაღები შინაარსობრივი შემოთავაზების წარმომდგენი კონკურსანტების საფასო შემოთავაზებები.

საფასო შეთავაზებაში თვალსაჩინოდ უნდა იყოს წარმოდგენილი:

– ყველა სახის ხარჯი, რომელიც ამ ტექნიკური დავალების მიხედვით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელებისთვის უნდა იქნეს გამოყენებული, ღირებულების, ვადების და გადახდის წესის ჩათვლით.

საბოლოო შეფასებაში საგნობრივი შეფასება შევა 70%-ით და ფასი/ღირებულება 30% - ით.

მიღებული შედეგების მიხედვით კანდიდატებს პროგრამულად მიენიჭებათ რიგობრივი ნომერი. საუკეთესო მაჩვენებლის მქონე კონკურსანტთან დაიწყება მოლაპარაკება ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე. თუ მოლაპარაკებები არ დამთავრდა წარმატებით, მაშინ მოლაპარაკებები განახლდება რიგით მეორე კანდიდატთან.

დანართი 2
შინაარსობრივი შეფასების სქემა

giz		Evaluation Scheme for Technical Assessment of Offers						
Section/ Division:	Assignment Title: Training of Trainers (ToT) for PBB experts of Georgian public sector	Project title:	Public Financial Management in the South Caucasus (GIZ PFM) (17.2023.4-001.00)					
N	Criteria	Weighting in %	points (max. 100)	assessment (2)x(3)	points (max. 100)	assessment (2)x(5)	points (max. 100)	assessment (2)x(7)
		(2)	(3)	(4)	(5)	(6)	(7)	(8)
1	<i>At least 5 years of professional experience in training delivery and consulting, including the services delivered for Georgian public sector representatives</i>	10.0%						
2	<i>At least 3 years of professional experience of delivery of the ToT trainings for various target groups and stakeholders</i>	20.0%						
3	<i>CVs of offered trainers/professionals emphasizing their assignment-relevant skills and experience</i>	40.0%						
4	<i>A work plan, included the budget and implementation schedule of number of work days per tasks to be performed by the Contractor for completion of this assignment</i>	30.0%						
	<i>Total</i>	100.0%						

დანართი 3. სამუშაოს აღწერა

აქტივობა: ტრენინგების ტრენინგი პროგრამული ბიუჯეტების
ექსპერტებისთვის ქართულ საჯარო სექტორში

პროგრამა: საჯარო ფინანსების მართვა სამხრეთ კავკასიაში (GIZ PFM)

PN: 17.2023.4-001.00

1. საჯარო ფინანსების მართვა სამხრეთ კავკასიაში

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების საჯარო ფინანსების მართვის პროგრამა სამხრეთ კავკასიაში (GIZ-PFM), გერმანიის ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის სამინისტროს (BMZ) დაკვეთით, ხელს უწყობს საჯარო ფინანსების მართვის სისტემის მდგრად რეფორმებს საქართველოში საჯარო რესურსების გამოყენების გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და შედეგებზე ორიენტირებულობის გაზრდის მიზნით. პარტნიორ დაწესებულებებთან (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, პარლამენტი და სახელმწიფო აუდიტის სამსახური) თანამშრომლობა მოიცავს შემდგომ სფეროებს:

- საპარლამენტო საფინანსო კონტროლი
- გარე აუდიტი
- საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკა
- საჯარო შიდა ფინანსური კონტროლი (PIFC)
- შედეგებზე ორიენტირებული ბიუჯეტირება (პროგრამული ბიუჯეტი)

ამ უკანსკნელის მიზანია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მხარდაჭერა ბიუჯეტის დაგეგმვისა და აღსრულების პროცესში ტრადიციული, შენატანზე ორიენტირებული მიდგომიდან შედეგებზე ორიენტირებულ მიდგომაზე გადასვლის პროცესში, რაც თვის მხრივ მოიცავს მეთოდოლოგიური ჩარჩო-პირობების გადახედვა-გაუმჯობესებას და კომპეტენციების და რესურსების გაძლიერებას დარგობრივ სამინისტროებში.

2. პროექტის საფუძველი

პროგრამული ბიუჯეტის ფორმატზე დაყრდნობით საბიუჯეტო პროცესების დაგეგმვა საქართველოში 2009 წელს დაიწყო, როდესაც „საბიუჯეტო კოდექსში“ შესული ცვლილებების შესაბამისად, პროგრამული ბიუჯეტი თავდაპირველად დაინერგა ეროვნულ დონეზე და მისი პილოტირება მოხდა 6 სამინისტროში. მიღებული გამოცდილებისა და მეთოდოლოგიაში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით ბიუჯეტის შემუშავება 2012 წელს სუბ-ნაციონალურ დონეზეც იქნა შემოღებული; ავტონომიურმა რესპუბლიკებმა და ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებმა კი ის 2013 წელს დაინერგეს. რამდენადაც პროგრამული ბიუჯეტირების მთავარ უპირატესობას შედეგებზე ორიენტირებულობა წარმოადგენს, რეფორმა მიმართულია საჯარო ფინანსების ეფექტურობის გაზრდასა და სერვისების მიწოდების გაუმჯობესებაზე, მათ შორის მუნიციპალურ დონეზეც. შესაბამისად, პროგრამების და მათი შესრულების შეფასების ხარისხობრივი ინდიკატორების სათანადოდ შემუშავება უმნიშვნელოვანესია ბიუჯეტის დაგეგმვისა და აღსრულების პროცესში.

GIZ „საჯარო ფინანსების მართვის პროგრამის“ მიერ გაწეული რეკომენდაციების შესაბამისად პროგრამული ბიუჯეტის არსებულ მეთოდოლოგიაში ცვლილებები 2015 წელს განხორციელდა. აღნიშნული მეთოდოლოგია განმარტავს არსებულ მარეგულირებელ ჩარჩო-პირობებს, მოთხოვნებს და პროცედურებს, რომლებიც ბიუჯეტის შემუშავების პროცესში მხარჯავი დაწესებულებების მიერ უნდა იქნეს გათვალისწინებული. აღნიშნული რეფორმის თანამდევ პროცესს ადამიანური შესაძლებლობების განვითარება წარმოადგენს, რაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისთვის ჩატარებული ტრენინგები და სემინარებში აისახა; თუმცა, რესურსების შეზღუდულობის პირობებში არარეგულარულ ხასიათს ატარებს და არ აქვს ფართომასშტაბიანი ჩარევის სახე. ამავე დროს, ადამიანური შესაძლებლობების განვითარებისკენ მიმართული ღონისძიებები ვლინდება, როგორც რეფორმის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ფაქტორი.

შესაბამისად, ბიუჯეტის შემუშავების პროცესში ჩართული პერსონალისა და მენეჯერების შესაძლებლობების განვითარებას გააჩნია პოტენციალი, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფო უწყებებისთვის პროგრამებისა და მათი შესრულების შეფასების ინდიკატორების შემუშავებისას. ეს პროცესი თავის მხრივ მოიცავს მაღალკვალიფიციურ პერსონალისა და პროგრამის მენეჯმენტის

მომზადებას, რომელსაც ა) გათვითცნობიერებული აქვს ბიუჯეტის შექმნის ფუნდამენტური პრინციპები, სტრატეგიები და გამოწვევები ეფექტიანობის პრინციპის მისაღწევად და ბ) გააჩნია ტექნიკური ექსპერტიზა პროგრამული ბიუჯეტის ფორმირება მოხდეს შესაბამის ფორმატში.

საჯარო რესურსების შეზღუდულობის პირობებში, საჯარო ფინანსების მართვის სფეროში ადამიანური კაპიტალის შემდგომი განვითარება ცენტრალური სამინისტროებისა და სააგენტოების, ისევე როგორც ადგილობრივი მმართველობების დონეზე წარმოადგენს საჭიროებას, რომელიც მოითხოვს ფართომასშტაბიან ჩარევას საჯარო ფინანსების მართვისა და ბიუჯეტირების პროცესების შესახებ არსებული ცოდნისა და გამოცდილების გაძლიერების კუთხით. შესაბამისად, ბიუჯეტირების პროცესის შესახებ ტრენინების სისტემის დანერგვა და განხორციელება წვლილს შეიტანს სექტორის შესახებ სპეციფიკური ცოდნისა და პრაქტიკული უნარების გაუმჯობესების პროცესში და ხელს შეუწყობს შედეგებზე ორიენტირებული, ეფექტიანი და ეფექტური საჯარო ფინანსების მართვის სისტემის ჩამოყალიბებას.

3. საკონსულტაციო მომსახურების მიზანი

წინამდებარე ტექნიკური დავალების მიზანია ბიუჯეტის ფორმირების პროცესში ჩართული საჯარო მოხელეების შესაძლებლობების განვითარებისთვის მიმართული ღონისძიებების განხორციელების პროცესში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მხარდაჭერა **ტრენერთა ტრენინგის (ToT) პროგრამის შემუშავებისა და ტრენინგის მიწოდების** გზით შერჩეული დარგობრივი ექსპერტებისთვის ტრენინგის მეთოდოლოგიების, დიზაინისა და ტრენინგის ჩატარების ტექნიკის შესახებ ცოდნისა, და ასევე ფასილიტაციის და პრეზენტაციის უნარების გაუმჯობესების მიზნით.

მომსახურების გამწვევი პასუხისმგებელი იქნება ტრენინგების ტრენინგ პროგრამის შემუშავებასა და ტრენინგის სესი(ებ)ის ჩატარებაზე პროგრამული ბიუჯეტირების 15-მდე სპეციალისტისთვის. ტრენინგისთვის თემატიკა უნდა მოიცავდეს ისეთ საკითხებს, როგორცაა ტრენინგის მეთოდოლოგია და დიზაინი, ეფექტური პრეზენტაცია, ჯგუფის დინამიკა და ფასილიტაცია, აქტიური მოსმენა, პარაფრაზირება და ა.შ.

ზემოთაღნიშნულთან დაკავშირებით, მომსახურების გამწვევის საქმიანობა მოიცავს შემდგომს:

- ტრენერების ტრენინგის კონცეპტის ჩამოყალიბება (მათ შორის, ტრენინგის მეთოდოლოგია, სტრუქტურა და მიწოდების განრიგი) საქართველოს საჯარო სექტორში მომუშავე პროგრამული ბიუჯეტირების სფეროს პროფესიონალებისთვის;
- ტრენინგის ჩატარება, მათ შორი ჯგუფის დინამიკისა და მართვის ტექნიკის სიმულაცია, “ბრენსტორმინგის”, დაგეგმვის, ჯგუფური დისკუსიის და ფასილიტაციის შესახებ ინფორმაციის გაზიარება;
- ქოუჩინგი და შემდგომი ტრენინგსშემდგომი სესიების ჩატარება ტრენერებისთვის;
- ტრენერების ტრენინგის მონაწილეთა სერთიფიცირება.

4. შესასრულებელი სამუშაოს ვადები და წარმოსადგენი მასალა

საკონსულტაციო საქმიანობის პერიოდია 2018 წლის 25 მაისი - 30 ივლისი. საკონსულტაციო საქმიანობა, სავარაუდოდ, მოიცავს 15 სამუშაო დღეს:

- 5 სამუშაო დღემდე - ტრენინგ პროგრამის განვითარება
- 6 სამუშაო დღე - ტრენინგის ჩატარება (სავარაუდოდ, 2 სამუშაო ჯგუფისთვის)
- 4 სამუშაო დღე - ტრენინგსშემდგომი სესიები ტრენერთა ტანდემთან

შესასრულებელი სამუშაოს ვადები	აქტივობები - შედეგები
31 მაისი, 2018	ტრენინგის კონცეპცია, რომელშიც მოცემულია სამუშაო გრაფიკი/დრო და წარდგენილია GIZ PFM-სთვის
25 ივნისი, 2018	ტრენინგების სესიის ჩატარება და ტრენერთა სერთიფიცირება
10 ივლისი, 2018	ტრენინგს შემდგომი შემდგომი სესიები (საჭიროების შემთხვევაში)

ყველა აქტივობა უნდა იქნეს კოორდინირებული; მომსახურების გამწევმა უნდა იქონიოს მჭიდრო თანამშრომლობა და კომუნიკაცია GIZ-ის „საჯარო ფინანსების მართვის პროგრამასთან“.

მომსახურების ანაზღაურება მოხდება საბანკო გადარიცხვის გზით.